European Bank for Reconstruction and Development

ველი – მზის ელექტროსადგური (Veli SPP)

მდებარეობა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	56997
ბიზნესის სექტორი:	ენერგო
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოს დაცვის კატეგორია:	B
დამტკიცების თარიღი:	9 სექტემბერი, 2026
სტატუსი:	კვლევის ეტაპი, ელოდება საბოლოო მიმოხილვას
ინგლისური ვერსიის გაზიარების თარიღი:	

პროექტის აღწერა

19.6 მილიონ აშშ დოლარამდე (17.2 მილიონი ევრო) სესხი შპს „კახეთის მზის“, შპს „მზის ველის“ და შპს „ალაზნის მზის“ (შემდგომში „კომპანიები“ ან „მსესხებელი“), 52.8 მეგავატიანი მზის ელექტროსადგურის (სგპ) მშენებლობისა და განვითარების მიზნით (შემდგომში „პროექტი“), საქართველოში დაარსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციების, სასარგებლოდ.

პროექტის მიზნები

სესხის თანხა მოხმარდება საქართველოში უდიდესი სამრეწველო მასშტაბის მზის ელექტროსადგურის განვითარებას, რაც გაზრდის განახლებადი ენერგიის გამომუშავების სიმძლავრეს. პროექტი დააფინანსებს 40.6 მგვტ სიმძლავრის ახალი მზის ელექტროსადგურის მშენებლობას და ადგილობრივი ბანკიდან დღემდე მოზიდული დაფინანსების რეფინანსირებას ხუთი უკვე მოქმედი მზის ელექტროსადგურისთვის, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 12.2 მგვტ-ია. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ქსელში დამატებითი სიმძლავრის ინტეგრირება პროექტს საშუალებას მისცემს დააჩქაროს ქვეყნის მზის ენერგეტიკის სექტორის განვითარება და შეავსოს არსებული ჰიდროენერგიის გამომუშავება.

გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 61

პროექტი მიზნად ისახავს EBRD-ის გარდამავალი ეკონომიკის შემდეგი მახასიათებლების მხარდაჭერას: (i) მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას — პროექტი შესაძლებელს გახდის 52.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის აშენებას, რომელიც, სავარაუდოდ, წელიწადში დაახლოებით 70.6 გგვტ.სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს ეროვნულ დონეზე წელიწადში დაახლოებით 16 333 ტონა CO_2-ის ემისიების შემცირებას; და (ii) კონკურენტუნარიანობის — საქართველოში უდიდესი სამრეწველო მასშტაბის მზის ელექტროსადგურის განვითარების მხარდაჭერით, განახლებადი ენერგიის გამომუშავების სიმძლავრის გაზრდითა და ენერგეტიკულ ბაზარზე კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობით, რაც კონკურენციის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

შპს „ველი“

შპს „კახეთის მზე", შპს „მზის ველი" და შპს „ალაზნის მზე" წარმოადგენენ სპეციალური დანიშნულების საწარმოებს (SPV-ებს), რომლებიც დაფუძნებულია 52.8 მგვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის პროექტის მშენებლობისა და განვითარების მიზნით. SPV-ების წილების უმრავლესობას ფლობს შპს „ველი". შპს „ველის" საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ნინო მჭედლიშვილი და ლაშა იორდანიშვილი.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

19,641,000.00 აშშ დოლარი.

პროექტის მთლიანი ღირებულება

19,641,000.00 აშშ დოლარი.

დამატებითი ფაქტორები

ბანკის მხრიდან მნიშვნელოვანი დამატებითი ფაქტორია გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფა იმგვარი ვადითა და პირობებით, რაც არ არის ადვილად ხელმისაწვდომი ადგილობრივ ბაზარზე პროექტის დაფინანსების ტრანზაქციებისათვის.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

B კატეგორია (ESP 2024). პროექტი მოიცავს საქართველოში მზის ათი ელექტროსადგურისგან შემდგარ, ჯამურად 52.5 მგვტ სიმძლავრის პორტფელს, მათ შორის ხუთ მოქმედ ელექტროსადგურს (დაახლოებით 12 მგვტ), რომლებიც 2025 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, და ხუთ ელექტროსადგურს (40.5 მგვტ), რომლებიც განვითარების ეტაპზეა. გარემოს დაცვის და სოციალურმა წინასწარმა კვლევამ, მათ შორის, დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ჩატარებულმა კორპორატიულმა გარემოს დაცვისა და სოციალურმა აუდიტმა, დაადასტურა,

რომ გამოვლენილი რისკები კონკრეტული ობიექტებისთვის დამახასიათებელია, მართვადია და შეესაბამება ეროვნულ გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობას, ასევე EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალურ მოთხოვნებს (ESRs). ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის შედეგად დადგინდა, რომ პროექტის არცერთი კომპონენტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ არის საჭირო.

მსესხებელი, სპეციალური დანიშნულების კომპანია (SPV), რომელიც ბანკის არსებული კლიენტის ძირითადი მფლობელების მიერ არის დაფუძნებული, ინარჩუნებს მიწასა და ინფრასტრუქტურაზე საკუთრების უფლებას და საერთო პასუხისმგებლობას გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების დაცვაზე, ხოლო პროექტის ყოველდღიურ განხორციელებას ISO 9001/14001/45001 სტანდარტებთან შესაბამისი ინტეგრირებული მართვის სისტემის ფარგლებში EPC კონტრაქტორი უზრუნველყოფს. შეთანხმებული გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) გაამლიერებს SPV-ის დონეზე მმართველობასა და ზედამხედველობას, ოფიციალურად დაარეგულირებს ადამიანური რესურსების პოლიტიკას დისკრიმინაციისა და გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების პრევენციის მიმართულებით და გააუმჯობესებს მიწოდების ჯაჭვის წინასწარ კვლევასა და მიკვლევადობას.

შერჩეული ადგილები არ მდებარეობს დაცულ ან სენსიტიურ ტერიტორიებზე; არ გამოვლენილა კრიტიკული ჰაბიტატები ან პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლები და ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება, სავარაუდოდ, დაბალი, ლოკაციისთვის სპეციფიკური და შექცევადი იქნება. მიწა უზრუნველყოფილია შესყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე, ფიზიკური ან ეკონომიკური გადაადგილების საჭიროების გარეშე. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და არატექნიკური რეზიუმე გამოქვეყნდება დირექტორთა საბჭოსთვის წარდგენამდე ESR 10-ის მოთხოვნების შესაბამისად და მოხდება საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის შერჩევა. ბანკი ESAP-ის განხორციელების მონიტორინგს განახორციელებს კლიენტის ანგარიშგებისა და საჭიროების შემთხვევაში საველე ვიზიტების მეშვეობით.

მწვანე შეფასება

პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობა

პროექტი მიჩნეულია პარიზის შეთანხმების როგორც შერბილების, ისე ადაპტაციის მიზნებთან შესაბამისად, რაც ეფუძნება EBRD-ის პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობის მიდგომას პირდაპირი დაფინანსების ინვესტიციებისთვის.

პროექტი შეესაბამება პარიზის შეთანხმების შერბილების მიზნებს, რადგან ის შედის მრავალმხრივი განვითარების ბანკების (MDB) ერთობლივად შეთანხმებულ სიაში კატეგორიაში „განახლებადი ენერგიის გენერირება მზის, ქარის, ტალღური ენერგიის, მდინარის ნაკადზე დაფუძნებული ჰიდროელექტროსადგურების ან გეოთერმული ენერგიის მეშვეობით, სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში სათბურის გაზების უმნიშვნელო ემისიებით“.

არსებითი ფიზიკური კლიმატური რისკები არ გამოვლენილა. ასევე, პროექტი არ ეწინააღმდეგება ადაპტაციის ან უფრო ფართო სისტემის კლიმატისადმი მდგრადობის ეროვნულ პოლიტიკას. შესაბამისად, იგი შეესაბამება პარიზის შეთანხმების ადაპტაციის მიზნებს.

მწვანე დაფინანსება

EBRD-ის დაფინანსების 100% მწვანე დაფინანსებაა, ვინაიდან ის მხარს უჭერს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას. მწვანე დაფინანსებისრა მოხდა EBRD-ის ინვესტიციების მწვანე დაფინანსების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასევე შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე, კატეგორიაში „განახლებადი ენერგიის გენერირება დაბალი სასიცოცხლო ციკლის სათბურის გაზების ემისიებით ელექტროენერგიის, გათბობის, მექანიკური ენერგიის ან გაგრილების მიწოდებისთვის“.

ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ნინო მჭედლიშვილი
info@veli.com.ge
995322528871

www.veli.com.ge
ზ.ავალიშვილის ქ. 12, 0179, თბილისი, საქართველო.

პროექტის მოკლე ანოტაცია (PSD) განახლდა

გარდაქმნის ეფექტი
დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები
ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com
სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის,

პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.